

საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2016

- ✘ გარემოს დაცვა
- ✘ ბუნებრივი რესურსები
- ✘ მდგრადი განვითარება

ახალი პოლიტიკური
ცენტრი გირჩი

ამონარიდი

2016 წლის საპარლამენტო
არჩევნებისთვის გამოქვეყნებული
საარჩევნო პროგრამიდან

საარჩევნო პროგრამა სრულად ხელმისაწვდომია

პოლიტიკური გაერთიანების ვებ-გვერდზე: <http://www.npc.ge/ka/story/garemo-da-inprastruktura/>

მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდზე: <http://bit.ly/2cj1TW1>

ეკონომიკა: მიწის რეფორმა (პრივატიზაცია, ანგლო-საქსური მოდელი)

წიადისეული ან ნებისმიერი სხვა ფასეულობა, რომელიც მესაკუთრის ტერიტორიაზე შესაძლოა აღმოჩნდეს მესაკუთრის ისეთივე საკუთრება იქნება, როგორც ზედაპირზე მოყვანილი მოსავალი.

გარემო და ინფრასტრუქტურა

„აპც – გირჩის“ ეკოლოგიური ხედვა ემყარება გარემოს რეალური, მდგრადი გაჯანსაღებისკენ მიმართულ სამ პრინციპს: კერძო ინტერესების ჩართვა, დეცენტრალიზაცია, თანასწორობა.

კერძო ინტერესები:

მიწის მფლობელთა ბუნებრივი ინტერესია, მათი საკუთრება, რომელსაც საცხოვრებლად, სოფლის მეურნეობისა თუ ტურიზმისთვის იყენებენ, დაცული იყოს დაზინძურებისგან. საქართველოში უნდა დამკვიდრდეს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის ახალი სტანდარტი: მოქალაქეებს უნდა შეეძლოთ მიიღონ კომპენსაცია მათი საკუთრების დაზინძურებისთვის, როგორც სახელმწიფოსგან, ისე კერძო პირებისა და კომპანიებისგან.

მოქალაქეთა კერძო ინტერესების გათვალისწინება და ეფექტური სასამართლო აიძულებს კომპანიებს (სახელმწიფოს კონტრაქტორების ჩათვლით) მეტი პასუხისმგებლობით მიუდგნენ გარემოს იქ, სადაც ხელისუფლება არაეფექტურია, ადმინისტრირების სირთულის, კორუფციის, გულგრილობისა თუ ელექტორალური ინტერესების გამო.

დეცენტრალიზაცია:

სახელმწიფოს კუთვნილი ბუნებრივი რესურსების ადმინისტრირებაში უნდა გაიზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და, შესაბამისად, თემის როლი.

შედეგად, გამოირიცხება ცენტრალური ხელისუფლების ერთპიროვნული გადაწყვეტილებები, რომელიც უგულებელყოფს კონკრეტული თემის ეკოლოგიურ ინტერესებს.

თანასწორობა ინფრასტრუქტურის განვითარებაში:

საქართველოში ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო ავტომობილების გამონაბოლქვია. ამ პრობლემის ძირეულად გადაწყვეტისთვის აუცილებელია ქვეყნის მკვეთრად გამდიდრება, რაც „აპც – გირჩის“ პროგრამის მთავარი პრიორიტეტია.

სანამ ავტომობილის მოწესრიგების (მაგ., კატალიზატორის დაყენება/განახლების) ღირებულება აღემატება მოქალაქის საშუალო შემოსავალს, სანამ უამრავი ადამიანი სასიცოცხლოდაა დამოკიდებული ავტომობილის მაქსიმალურად იაფ ექსპლუატაციაზე, გამონაბოლქვის პრობლემის სრულად მოგვარების დაპირებები არარეალისტურია. თუმცა, ნაბიჯების გადადგმა გარემოს გაჯანსაღებისკენ შესაძლებელია:

1. დამკვიდრდეს ინფრასტრუქტურის განვითარებისადმი უფრო თანასწორი მიდგომა. ავტომგზობელების ინტერესებთან ერთად, სახელმწიფომ გაითვალისწინოს ფეხით, ველოსიპედით თუ გარემოსთვის უსაფრთხო სხვა საშუალებებით მოძრავ მოქალაქეთა ინტერესები.

დღესდღეობით, უმანქანოდ მოძრაობას აფერხებს უსაფრთხო/კომფორტული გადასასვლელების ნაკლებობა, მოძრაობის წესების არასათანადო დაცვა, სპეციალური ბილიკების და, ბევრგან, ტროტუარის არარსებობაც კი.

2. საავტომობილო ინფრასტრუქტურა განვითარდეს არა მხოლოდ გზების, არამედ პარკინგის მიმართულებითაც: ეს შედარებით განტვირთავს ქუჩებს და შეამცირებს საცობებს, რაც ჰაერის დაბინძურების დამატებითი ფაქტორია.

3. ხელი შევუწყოთ სატრანზიტო და ქალაქთაშორისი მიმოსვლის დასახლებული პუნქტებიდან გატანას, რაც გაამარტივებს მიმოსვლას (დადებითი ეკონომიკური ეფექტი) და დამატებით განტვირთავს ქუჩებს.

«აპც – გირჩის» ინიციატივები ინფრასტრუქტურის დაბალანსებული განვითარების მიმართულებით პირდაპირ ემსახურება საგზაო უსაფრთხოების ზრდასაც.

მოძრაობის წესების უფრო ეფექტურად და თანმიმდევრულად კონტროლი თავისთავად გულისხმობს მოძრაობის უსაფრთხოების ზრდას (და ამ გზით უმანქანოდ მოძრაობის ხელშეწყობას).

საფეხმავლო და საველოსიპედო ინფრასტრუქტურის – ბილიკებისა თუ გადასასვლელების – მოწყობა ნიშნავს, რომ ნაკლებ მოქალაქეს მოუწევს უმანქანოდ გზის საავტომობილო ნაწილზე მოძრაობა ან არასათანადო ადგილას, სახიფათოდ გადაკვეთა.

უსაფრთხოების ზრდას გამოიწვევს ასევე დასახლებულ პუნქტებში გზების განტვირთვა, რასაც დამატებით ხელს შეუწყობს პარკინგის განვითარება და სატრანზიტო მიმოსვლის ქალაქგარეთ გატანა.

ადგილობრივი თვითმმართველობა: ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციების გაფართოება

ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში გადავა სპორტი, კულტურა, გარემოს დაცვა-ეკოლოგია, ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურა.

შეზღუდული რესურსის გამო ადამიანები გააკეთებენ არჩევანს შემდეგი მიმართულებების დაფინანსებას შორის:

1. ინფრასტრუქტურული პროექტები - გზა, წყალი, ხიდი, შადრევანი, გარემო
2. კულტურა და სპორტი - ბიბლიოთეკა, თეატრი, სპორტი, ხელოვნება და სხვა

ადგილობრივი თვითმმართველობა: ტყეების გადატანა ადგილობრივის კომპეტენციაში

საქართველოში ტრადიციულია სათემო ტყეები. ამ რესურსის გამოყენება და მართვა ეფექტურად შესაძლებელია ადგილობრივ დონეზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციებში გადავა (სათემო) დასახლებული პუნქტების მიმდებარე ტყეები.